საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/193 " 5 " ივნისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ცანავას თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

2017 წლის მაისში დასრულებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ვერ შეივსო მოსამართლის 6 ვაკანტური თანამდებობა. განსახილველ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში არსებულ მოსამართლეთა რაოდენობა არასაკმარისია. შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 ივნისის სხდომაზე განხილულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი საკითხი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეთა მივლინების თაობაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინებისათვის ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სასამართლოს წარმოადგენს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარემ წარმოადგინა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავას თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა დატვირთულობა თვის განმავლობაში შეადგენს 4,5 საქმეს, რაც საერთო სასამართლოებში შემოსულ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით ძალიან დაბალი მაჩვენებელია. აღნიშნული მივლინება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეთა განტვირთვას, ხოლო, მეორე მხრივ, არ გამოიწვევს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა დატვირთულობის ზრდას, ვინაიდან ლელა ცანავა, მისივე თანხმობით იმავდროულად უფლებამოსილებას განხორციელებას გააგრძელებს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში.

აღნიშნული მივლინება არ იწვევს მოსამართლეთა სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო განთავსებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავა მივლინებულ იქნას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2017 წლის 6 ივნისიდან 2018 წლის 5 ივნისამდე.

2. ლელა ცანავამ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი